

გიორგი კრავეიშვილი
ხათუნა დამჩიძე

ფერეიდნელ ქართველთა მუსიკალურ-ქორეოგრაფიული ფოლკლორული ტრადიციები

საკვანძო სიტყვები: მრავალხმიანობა, საკრავები, ქართული ენა, ფერეიდანი, ცეკვა, ფოლკლორული ნიმუში, სართულებიანი ფერხული, „ჰალაღაი“, „ჩოფი“, „ჩუბ-ბაზობა“, „შუშპარი, „ბასტი“, „თამაში“, „ცხენკაცობა“, „აქლემკაცობა“.

ნაშრომი „ფერეიდნელ ქართველთა მუსიკალურ-ქორეოგრაფიული ფოლკლორული ტრადიციები“ ასახავს „შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის“ მხარდაჭერით (FR-21-11362), 2024 წლის 2-3 აგვისტოს ირანში მოწყობილი ექსპედიციის შედეგებს. კვლევა ეხება ისტორიული პერიპეტიების შედეგად აღმოსავლეთ საქართველოდან ირანში, კონკრეტულად, ფერეიდანში გადასახლებულთა მუსიკალურ და ქორეოგრაფიულ ფოლკლორულ შემოქმედებას. ექსპედიციის მიზანს წარმოადგენდა იმ კულტურული მემკვიდრეობის გამოვლენა, ფიქსაცია და შესწავლა საქართველოს ისტორიულ ნაწილში არსებულ ხალხურ შემოქმედებასთან მიმართებით, რაც დროთა განმავლობაში ფერეიდნელთა ფოლკლორულმა ტრადიციებმა შემოინახა. ექსპედიციაში მონაწილეობდნენ - პროექტის ხელმძღვანელი ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი, ეთნომუსიკოლოგი გიორგი კრავეიშვილი, ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი, ქორეოლოგი ხათუნა დამჩიძე და ფოტო/ვიდეო გადაღების უზრუნველყოფის მენეჯერი თამაზ კრავეიშვილი. აუდიო და ვიდეო მასალა უახლოეს მომავალში აიტვირთება საიტზე www.heiamo.com

მუსიკალური ნაწილი - გიორგი კრავეიშვილი

ფერეიდანი - ქართველებით დასახლებული კუთხე ირანის ისლამურ რესპუბლიკაში. ფერეიდანი - საქართველოს დიდი ტკივილი, რომელიც იწყება შაჰ-აბას პირველის ლაშქრობიდან, წინ წლიდან. ცნობილია, რომ ქართველები ასევე გადაასახლეს მაზანდარანში, ხუზესტანში, ხორასანში, შირაზსა და სხვაგან, თუმცა ქართული ენა მხოლოდ ფერეიდნელებმა შეინარჩუნეს.

დღეს ფერეიდანში ქართულად ლაპარაკობს ქალაქი მარტყოფი (ირანულად ფერეიდუნ-შაჰრი) და მისი სოფლები: სიბაქი, ჯაყჯაყი და ჩულრუთი, ასევე, ქალაქი თორელი (ირანულად ბუინ-მიანდაში) და მისი სოფლები: ახჩა და დაშეკსანი. სამწუხაროდ, დღეს ქართული ენა მხოლოდ ამ სოფლებში ცოცხლობს, მაშინ როდესაც ერთი საუკუნის წინ უფრო მეტი სოფელი მეტყველებდა მშობლიურ ენაზე.

ფერეიდანში 2024 წლამდე ქართველი მუსიკოლოგებისა და ქორეოლოგების მიერ ექსპედიცია არ ჩატარებულა. ამიტომ, ის მწირი ინფორმაცია, რაც ფერეიდნის მუსიკაზე გვქონდა ამოკრეფილი, იყო სხვადასხვა დარგის მეცნიერთა ჩანაწერები-



ქართული წარწერა მარტყოფში ერთ-ერთ სახლზე - თამაზ კრავეიშვილის ფოტო 2024 წ.

დან და ფერეიდანზე შექმნილი არამუსიკალური ლიტერატურიდან. ფერეიდანში გავრცელებული საკრავების შესახებ ვიცოდით ისევე ზოგადი ლიტერატურიდან, მაგრამ სასიძლოო ფოლკლორის მახასიათებლებზე ელემენტარული წარმოდგენაც არ გვქონდა. ფერეიდანულ მუსიკალურ ფოლკლორის პირველად, ჯერ კიდევ 2012 და 2018 წლებში, შევხვებოდა, როდესაც გავცანი სხვადასხვა დარგის მეცნიერების ჩანაწერებს და საქართველოში მცხოვრები და სტუმრად ჩამოსული ფერეიდანელებისგან ჩავწერე რამდენიმე სიმღერა. მაგრამ ეს ზღვაში წვეთი იყო და მხოლოდ მცირე წარმოდგენას ქმნიდა. სამაგიეროდ, წლებგანდელმა ექსპედიციამ სამი კვირის განმავლობაში ფუნდამენტურად შეისწავლა როგორც მუსიკალური, ისე ქორეოგრაფიული ფოლკლორი. ეს ორმაგად აღსანიშნავია, რადგან ფერეიდანელთა ქორეოგრაფიაზე წინასწარი ინფორმაცია, ფაქტობრივად, არც გვქონდა.

მწირი ინფორმაციის მიუხედავად, ვფიქრობდით, რომ ფერეიდანელი სიმღერა ერთხმიანი იყო. ამას, საქართველოში ჩამოსულ ფერეიდანელთა ცნობების გარდა, მაფიქრებინებდა ფერეიდანის ზოგადი ცხოვრება. მათ მხოლოდ ბოლო ერთი საუკუნის განმავლობაში განაახლეს საქართველოსთან ურთიერთობა. ფერეიდანელ ქართველებს ყოველდღიური ურთიერთობა უწევდათ ირანში მცხოვრებ ბახტარიებთან, ქურთებთან, თურქ-აზერებთან, რომლებიც მუსულმანობას მისდევდნენ და დროთა განმავლობაში თავადაც გამუსლიმანდნენ. ამიტომ, რელიგიური ფაქტორიც ძლიერი უნდა ყოფილიყო სიმღერის გავრთხმეიანების საკითხში. სამწუხაროდ, ექსპედიციამ ეს ეჭვი სრულიად დაადასტურა.

ფერეიდნული პოეტური ფოლკლორის სიღარიბე სასიმღერო ტექსტების კონტამინაციის შემთხვევებითაც დასტურდება.¹ ერთი და იგივე სტროფები სრულიად განსხვავებულ ჟანრებში გვხვდება: ასე მაგალითად, ცნობილი სასიმღერო ლექსის - „გადიან, გამოდიან ყოველი - მე შენ შეგეყორვები, გადიან, გამოდიან ჩიტები - მე შენ შეგეჭიდები“ - ვარიანტები გამოყენებულია როგორც დასაძინებელ „ნანაში“,² ისე კარაქის შეღღვებისას³ და ა.შ. ტექსტების კონტამინაცია და ერთი და იმავე ტექსტის სხვადასხვა ჟანრში გამოყენების ფაქტები გვარწმუნებს, რომ ფერეიდანში არა მარტო მუსიკა, არამედ ზეპირსიტყვიერება მძიმე მდგომარეობაშია.

ფერეიდანში გვხვდება მხოლოდ სოლო და ჯგუფურად შესასრულებელი ერთხმიანი სიმღერები. სოლოა აკვნის ნანა, დატირება, ძროხის წველის ჰანგები და საბავშვო გათვლები. ამინდის მართვის, ლირიკულ-სახუმარო და საახალწლო სიმღერები კი ჯგუფურად სრულდება. მარტყოფში გავრცელებული ზოგიერთი სიმღერა („ალათასა ბალათასა“, „გადიან-გამოდიან ყორნები“, „ჩიტო, ჩიტო, ჩიტკანკალავ“) თორელის რაიონში ვერ დაგაფიქსირეთ, თუმცა, საერთო სურათი ორივე რაიონში ხშიერი და საერავეიერი მუსიკის კუთხით - ერთნაირია.

ყანის თოხნისას, თიბვისას და მკისას სპარსული ლირიკული სიმღერები სრულდებოდა და იგვრებოდა სტირ-ნალარა. ეჭვს იწვევს ფაქტი, რომ საუკუნით ადრე, როდესაც სპარსული ენა ჯერ კიდევ კარგად არ იცოდნენ, ფერეიდნელები, ქართულის მაგივრად, სიმღერებს სპარსულად მღეროდნენ. მაგრამ, ჩვენმა ექსპედიციამ ქართული ნიმუში ვეღარ დააფიქსირა. სამაგიეროდ, თოჯინას გაამზადებდნენ და ქართულად მღეროდნენ მაშინ, როცა ღმერთს გვალვიან ამინდში მოსავლის გადასარჩენად წვიმას სთხოვდნენ.

ქორწილშიც სპარსული სიმღერები სრულდებოდა, თუმცა იყო ერთი ქართულენოვანი სიმღერა „ალალაი, ადექ, დაჯექ“, რომელსაც პატარძალს აცეკვებდნენ და ამღერებდნენ. სხვა დანარჩენი სიმღერები, იქნებოდა ეს ნეფის და პატარძლის გამოყვანისას, სახლში შეყვანისას თუ სხვა დროს - სპარსული იყო...

ახალი წლის წინა ოთხშაბათს ბიჭები დაანთებდნენ ცეცხლს, გადახტებოდნენ და დეკლამაციით მღეროდნენ „ჩარშამბაე სული, დედაჲ ლუკმა პური“. საახალწლოდ კი მარტყოფის რაიონში ბიჭები სახლის ჭერიდან ჩამოვიდებდნენ კალათას და მღეროდნენ „ალათასა ბალათასა“. ვფიქრობ, რომ ეს სიმღერა საქართველოდან უნდა ყოფილიყო გავრცელებული, რადგან: 1) სიტყვიერი ტექსტი ფერეიდნული სამეცხველო დიალექტის ნიშნებს არ შეიცავს; 2) სიმღერა გავრცელებულია უმთავრესად ქალაქ მარტყოფში, სადაც 1940-1960-იან წლებში ჩადიდნენ კინორეჟისორები ირაკლი კანდელაკი და გურამ პატარაია, სპარსოლოგები ზურაბ შარაშენიძე, მაგალი თოდუა, ნოდარ კოჭლაშვილი და სხვები, რომლებსაც ქართული სიმღერების ფირფიტები ჩაჰქონდათ. თორელსა და მის სოფლებში კი ამ დროს მდინარის პირას გადიოდნენ ახალგაზრდები და სპარსულად მღეროდნენ - ყველაფერი ცუდი 13 რიცხვმა წაიღოს (ქვას უკან გადააგდებდნენ) და კარგი 14 რიცხვმა

1 შარაშენიძე ზ., ახალი მასალები ფერეიდნული ქართველების შესახებ, 1969, გვ. 50.

2 ცაგარეიშვილი თ., ფერეიდნელები საქართველოში, 1981, გვ. 24.

3 იქვე, გვ. 16.

მოგვიტანოსო (ქვას წინ გადმოაგდებდნენ). ახალ წელს ზეიმობდნენ ნოვრუზობის დროს - აპრილის თვეში.

მიცვალებულს ერთ დღეში მოღვების თანხლებით კრძალავდნენ, თუმცა, ჭირისუფლები ქართულად დასტირიან. გაგვაკვირვა იმ ფაქტმა, რომ ქალებთან ერთად, არსებობდა კაცების დატირებაც. კაცები სიტყვით ტიროდნენ მაშინ, როდესაც განსაკუთრებით მწარედ განიცდიდნენ ახლობელი ადამიანის დაკარგვას.

აკვნის ნანას დღეს, უმეტესად, სპარსულად მღერიან, ქართულენოვანი ვარიანტების გამოვლენა მხოლოდ მრავალგზის ჩაკითხვის შემდეგ გახდა შესაძლებელი. იმავდროულად, უნდა ვთქვათ ის, რომ ოჯახში პატარა ბავშვებთანაც ქართულად საუბრობენ. სპარსულად კი, მხოლოდ ტელეფონზე ლაპარაკობენ. სასინარულოა ისიც, რომ ქართული კერძო სკოლის დანმარებით, რომელიც ყოლამრეზა ზუციშვილის დაარსებულია და დღემდე ის ხელმძღვანელობს, ქართული წერა-კითხვა თითქმის ყველა ბავშვმა და ახალგაზრდამ იცის.

ოთხი საუკუნეა რაც ქართველი, ქურთი, ბასტიარი და სპარსელი ერთმანეთის მეზობელ სოფლებში ცხოვრობენ. ერთი საუკუნის წინ მრავლად იყო სომხური სოფლებიც, თუმცა სომხების უდიდესი უმრავლესობა ისპაჰანში წავიდა საცხოვრებლად. ამ გარემოების მიუხედავად, ფერეიდნელი ქართველების სიმღერამ შეინარჩუნა ქართული მელოდიკაც და ფარული მრავალხმიანობის ნიშნებიც. თუმცა, უნდა აღვნიშნოთ, რომ ფერეიდნელები ზოგჯერ ცხვირში მღერიან, რის გამოც არამუსიკოსისთვის მათი სიმღერის მელოდიები ქართულად ვერ აღიქმება. ფარული მრავალხმიანობა ვლინდება როგორც კილოს დაბალი მეშვიდე საფეხურის გაჟღერებით, ისე კუბლეტების დასაწყისში კვინტური და სექსტური ნახტომური სვლებით. ორივე შემთხვევაში იქმნება შთაბეჭდილება, რომ თითქოს ორი ხმა უღერს, ოღონდ მონაცვლეობით. ფერეიდნულ სიმღერებში ფარული მრავალხმიანობა ძირითადად მეშვიდე საფეხურის აქცენტირებით ხდება და თანაც - არამარტო ქართულენოვან, არამედ სპარსულენოვან სიმღერებშიც.


საკრავებზე დამკვრელებად, მეტწილად, ფერეიდნელი ქურთები და სომხები გვევლინებიან, ქართველები ნაკლებად არიან ამით დაკავებული. ყველაზე ადრეული ცნობები 1920-იან წლებს მიეკუთვნება. იმ დროს გავრცელებული იყო სტირ-ნალარა,⁴ საზი (ჩუნგური),⁵ თარი,⁶ დაირა და ჭიანური.⁷ ჭიანურში ქამანჩა უნდა იგულისხმებოდეს. დოლი და სანთური კი ფერეიდნელთა ყოფისთვის ახალი საკრავია. სტვირის ზოგჯერ ფერეიდნელები „ისტირის“, დოლს კი, „დოჰოლს“ უწოდებენ. ჩვენი საექსპედიციო მასალიდან კი ირკვევა, რომ ქართველები უფრო სტირ-ნალარაზე და ჩასაბერ ნეიზე უკრავდნენ, სხვა საკრავებზე დამკვრელებიდან მხოლოდ თითო-ოროლა იყო ქართველი, რომლებიც უკვე გარდაცვლილები არიან. საკრავებისადმი ქართველების გულგრილი დამოკიდებულება მათი ცხოვრების წესით უნდა აიხსნას, რადგან ფერეიდნელების გადმოცემით, დამკვრელობა ქართველებში გარ-

4 ბუთლიაშვილი ვ., ქორწინება ფერეიდანში, 1923, ციტირებულია წიგნიდან ბაკურაძე ლ., ბერიძე მ. და სხვ. ფერეიდნული ქრონიკები, 2020, გვ. 250.

5 იქვე.

6 ჭელიძე ა., ფერეიდნელი ქართველები, 2011, გვ. 155.

7 იქვე.



ნეები (სალამურები).



ნეიზე (სალამურის ნაირსახეობა) შემსრულებელი.

თობად აღიქმეოდა და სირცხვილად მიაჩნდათ რელიგიური ფაქტორიდან გამომდინარე - მას არ უნდა ემხიარულა, მხოლოდ უნდა ეგლოვა. ფერეიდანში ქურთები და ბახტიარები ბევრნი იყვნენ, ქართველები კი ცოტანი. ბახტიარებს და ქურთებს კი ვერ უკრძალავდნენ, რადგან ბევრნი იყვნენ და მათი ემინოდათ. რადგან ნეი მწუხარების გამომხატველი საკრავი იყო, მასზე დაკვრას არ ზღუდავდნენ. სტირ-ნალარა კი სიხარულთან ასოცირდებოდა. საბოლოოდ ნეიცა და სტირ-ნალარაც ჩვენებურებმა ბახტიარებისა და ქურთებისგან ისწავლეს.

აქედან გამომდინარე, ფიქსირებული გვაქვს ნეიზე მხოლოდ სამი დამკვრელი, ხოლო სტირ-ნალარის ერთი ანსამბლი. აღსანიშნავია, რომ სტირს და ნეის წინ აქვთ ხუთი ნახვრეტი, ხოლო უკან - ერთი. ნალარა ორი ჯოხით იკვრება. ზევიდან

დასარტყმელი ჯოხი დიდია და მოლუნული, ქვევიდან ამოსარტყმელი ჯოხი კი, მოკლე და სწორი. ქართული ტიპის მელოდია კი, გვხვდება ნეისა და ჰანბულეზე.

ცალკე უნდა ვახსენოთ გუდასტვირი ჰანბულე/ჰამბულე, რომელიც ფერეიდნელთა გადმოცემით, ირანის კასპიისპირეთში ყოფილა გავრცელებული და ფერეიდანში ახლა იკიდებს ფეხს. არ არის გამორიცხული, იმ არეალშიც ქართველები ცხოვრობდნენ, რადგან ეს გუდასტვირი აღნაგობით ძალიან ჰგავს ქართულს, იმ განსხვავებით, რომ ორივე სალამურზე ამოჭრილი აქვს 5-5 თვალი.

ფერეიდნელების მუსიკალური შემოქმედება კახურისგან, სამწუხაროდ, ძალიან დაშორებულია, სამაგიეროდ, უახლოვდება ჰერულს. ჰერეთი საქართველოს ისტორიული კუთხეა, რომელიც შაჰ-აბასის დროიდან XVII-XVIII საუკუნეებში სპარსეთსა და მისდამი დამორჩილებულ ელისუს სასულთნოს ეკუთნოდა, XIX საუკუნეში კი, უმეტესწილად, დაღესტნის ოერეში შედიოდა. ის დროგამოშვებით უბრუნდებოდა დედასამშობლოს, მაგრამ 1921 წელს აზერბაიჯანს გადაეცა. ფერეიდნული მუსიკალური შემოქმედება კი უახლოვდება ჰერულს როგორც ვოკალური ერთხმიანობით და ტრადიციული სიმღერების სიმწირით, მათ შორის საბავშვო რეპერტუარის სიჭარბით, ისე აღმოსავლური ტიპის საკრავების სიმრავლით. ქამანჩა და თარი, მართალია, არ გვხვდება ჰერეთში, თუმცა სტირ-ნაღარა წლების წინ ძალიან გავრცელებული იყო და ზოგ სოფელში ჩასაბერ ბალახანზე დამკვრელებიც გვყავდა. თუ ჰერეთში, უკრავდა ორი სტვირი და ორი ნაღარა, ფერეიდანში მხოლოდ თითო-თითო სტვირ-ნაღარაა, რაც თეორიულ დონეზეც კი გამორიცხავს მრავალხმიანობას. ფერეიდნის ქართველებში საზი (ჩუნგური), თარი, ქამანჩა ნაკლებად გამოიყენებოდა და მათი ჩაწერა ვერც მოვახერხეთ. ამავედროულად, თუკი ჰერეთში ჩუნგურისგან განსხვავებით, საფანდურო და საგარმონო მუსიკის სახით ქართული ტიპის მრავალხმიანობაც გვაქვს, ფერეიდანში ესეც გაქრალა, რადგან ტრადიციულ ფერეიდნულ ყოფაში არც ფანდურია (მან ახლახანს მოიკიდა ფეხი) და მით უმეტეს, არც გარმონი. თუმცა, ისიც უნდა ვთქვათ, რომ ჰერეთში გარმონი მეოცე საუკუნეშია შესული, რადგან ძველ წყაროებში მისი ხსენება არაა. ჰერეთის მუსიკალური ფოლკლორის შესახებ კი იხილეთ ჰერეთის ქვეთავი ჩემი მონოგრაფიიდან.⁸

როგორც ექსპედიციის შედეგებმა გვიჩვენა, ფერეიდანში გვხვდება სპარსული საკრავები და გავრცელებულია ქურთული და სპარსულენოვანი სიმღერები ქართული მელოდიათ. ქართულენოვანი სიმღერები კი, თუ ვარიანტულობას მხედველობაში არ მივიღებთ, თითქმის ჩამოსათვლელია. ფერეიდნელები გრძნობენ ამ დიდ დანაკლისს და ცდილობენ საქართველოდან ისწავლონ ცეკვებიც, საკრავებიც (უმეტესად ფანდური) და სიმღერებიც, რომ კულტურულად თავი სრულფასოვან ქართველებად იგრძნონ. ახალგაზრდა ფერეიდნელების აბსოლუტურმა უმრავლესობამ იცის ქართული წერა-კითხვა და ცდილობს იცხოვროს ისე, როგორც ჩვეულებრივ ქართველს შეეფერება. მით უმეტეს, რომ მათი პატრიოტიზმი ნამდვილად სანიმუშოა.

8 კრავიშვილი გ., საქართველოს მოწყვეტილი კუთხეების და XVII-XIX საუკუნეებში გადასახლებულ ქართველთა ხალხური მუსიკის შესწავლის პრობლემები, 2020, გვ. 99-123.

ეს ხალხი იმსახურებს, რომ საქართველოში იყვნენ სათანადოდ დაფასებულნი, ჰქონდეთ ამ ქვეყნის მოქალაქეობა და სრულფასოვნად მონაწილეობდნენ საქართველოს განვითარებაში. ამავდროულად, ფერეიდანში კიდევ უფრო მეტად გააღვივონ ქართული სული, შეინარჩუნონ და პოპულარიზება გაუწიონ იმ სასიძლერო, საცქევაო თუ ეთნოგრაფიულ კულტურას, რომელიც ბოლო წლებამდე შემოინახეს.

ქორეოგრაფიული ნაწილი - ხათუნა დამჩიძე

ექსპედიცია ფერეიდანში განხორციელდა ქალაქ ფერეიდუნშაჰრში, ქალაქ თორელში და მათ გარშემო არსებულ სოფლებში. ეთნოგორები, რომელთაც შევხვდით, საუბრობენ 400 წლის წინანდელი ქართულით. მათ კარგად ესმით ერთმანეთის, ჩვენი ქართული კი, ნეოლოგიზმებით სავსე და გრამატიკულადაც სახეცვლილი, რიგ შემთხვევაში, მათთვის გაუგებარი აღმოჩნდა. ამაში გასაკვირი არაფერია, რადგან არსებულ გარემოში მათი ენა დაკონსერვდა. თუმცა, დიდი გასაჭირი არ გვადგა, რადგან „თარჯიმნობას“ შაჰრამ ონიკაძე, ომიდ (ამირან) გუგუნანი და აბოლყასიმ აჰმადი გვიწევდნენ, რომელთაც გვიმასპინძლეს და ის ეთნოგორები შეგვიჩვენეს, ჯერ კიდევ რომ შერჩენოდით ისტორიული მენსიერება.



განათლების მუზეუმი ისპაჰანში.

ფერეიდნელ ქართველთა ქორეოგრაფიულ შემოქმედებაზე საუბრისას, უპირველეს ყოვლისა, უნდა შევხვით ცეკვასთან შინაარსობრივად დაკავშირებულ აქ დაცულ პარალელურ ტერმინებს. ფერეიდანში ცეკვას სულხან-საბას ლექსიკონ-

სა და ჩვენს დიალექტებში ჯერ კიდევ შემორჩენილ ტერმინებს - „შუშპარსა“⁹ და „თამაშს“¹⁰ უწოდებენ. რიგ ადგილებში ამ ორ ტერმინს დეფინიცირებულადაც იყენებენ: „ცეკვაზე მარტყოფელები იტყვიან ვშუშპრი, ჩვენ (დაშქესანში) ვეტყვით - თამაში, ახჩაში - შუშპრი და თორელ-ბოინში - თამაში. ჩვენთან უფრო განსხვავდება ეს სიტყვა - რა დროს ჩვენ თამაშს ვიტყვით და რა დროს შუშპრისა. როდესაც სერიოზულად ვცეკვავთ, ვიტყვით - ვთამაშობთ, ხოლო მასხრობა-ხუმრობით - ვიშუშპროთ“ - განმარტა დაშქესანელმა არია ხოსრევმა (ხოსროშვილი). ცალად ცეკვას აქ „თაქ“ ან „ლენგად“ შუშპრობას უწოდებდნენ. ტერმინები „ცეკვა“ და „ფერხული“ ფერეიდანში არ შეგვხვდრია. ცერებს ფერეიდანში „ჭინჭები“ უწოდეს, კინგლადა - როგორც სოფელ ახჩაში იცოდნენ ნიშნავს ბუქს, ჩაბუქნას. ჭინჭებზე (ცერებზე) ბუქნებს უწოდებენ კუნეულობას. საქართველოში ძველად გავრცელებული „კუკი“ - ბუქნა, აქ შემორჩა როგორ „კუნეული“.

ეთნოფორებისაგან ცხადი გახდა, რომ იქნებოდა ეს თორელის თუ ფერეიდუნ-შაპრის სოფლები, ყველა ცეკვაგდა ფერხულს, რომელსაც „ჩოფს“ უწოდებენ და „ჩუბ ბაზობას“ ანუ „ჯოხურს“. ამ საცეკვაო ნიმუშებთან დაკავშირებით აზრთა სხვადასხვა არ არსებობს, ყველა აღნიშნავდა, რომ ისინი ბახტიარების ცეკვებია. როგორც ზევით ითქვა, ბახტიარები არიან ძველი სპარსული წარმომავლობის ხალხი, რომლებიც ქართველების სიძაღოვს, სხვადასხვა სოფლებში ძველადაც სახლობდნენ და ახლაც. ამდენად, მარგინალური გავლენებისაგან თავის დაღწევა, ფაქტობრივად, ქართველებისათვის შეუძლებელი იყო.

„ჩოფი“ ფერხულია, სადაც შესაძლოა მამაკაცების მწკრივს ქალთა მწკრივიც მოეხება. მარჯვენა ხელი წინ მდგომის სამოსზე აქვთ ჩაჭიდებული, მარცხენა კი თავისუფლად მოძრაობს, რომელსაც მანდილი უჭირავს. ასევე მანდილებითაა შეიარაღებული ფერხულის მეთაური - „სარ ჩოფი“ (სარ - მეთაური, ხელმძღვანელი). ფერხული მოძრაობს წრეზე ან გზაზე გადაადგილების შემთხვევაში - სწორხაზოვნად. მისი ძირითადი სამეტყველო ენა წარმოდგენილია ნ ნაბიჯით - სამი წინ, მეოთხით ფეხის მიწაზე დაკვრა, თავისუფალი ფეხით ერთი ნაბიჯი უკან და მეორე ფეხით მიდგმა ცერზე. საცეკვაო მუხლს ყოველთვის იწყებს მარჯვენა ფეხი. ფერხული სრულდება სტვირისა და დიდი ნაღარის თანხლებით.

„ჩუბ ბაზობა“ ანუ ჯოხური (ჩუბ - ჯოხი, ბაზ - თამაში) წარმოადგენს ორი მამაკაცის ჯოხებით შერეინებას, სადაც ერთს გრძელი ჯოხი უჭირავს, მეორეს კი, შედარებით მოკლე. თამაშის არსი მდგომარეობს გრძელი ჯოხის პატრონის მიერ მოწინააღმდეგის „დაჭრაში“ - სხეულზე მის მორტყმაში. მოკლე ჯოხის პატრონი კი, თავისი „იარაღით“ იცავს თავს. „დაჭრის“ შემთხვევაში მოპაექრეები ჯოხებს ცვლიან. „ჩუბ-ბაზობას“ ახლავს სტვირ-ნაღარის მუსიკა. საცეკვაო ელემენტი ამ ფოლკლორულ ნიმუშში მოცემულია შერეინებებს შორის მუხლოურა სვლით ერთმანეთის წინ, წრეზე მოძრაობაში სხვადასხვა მხარეს.

9 ორბელიანი სულხან-საბა, თხზულებანი ტ. IV-2, „საბჭოთა საქართველო“, თბ., 1966, გვ. 310.

10 ორბელიანი სულხან-საბა, თხზულებანი ტ. IV-1, „საბჭოთა საქართველო“, თბ., 1965, გვ. 133.

საინტერესოა, რომ ბახტიარების ცეკვასთან კავშირი საქართველოში სულხან-საბას ლექსიკონმაც შემოგვინახა: ბახტნი - უცხოებთა მროგავნი.¹¹ მეზახტე - უცხოებთ მროგავნი.¹² გარდა ამისა, პერეთში, კახის რაიონშიც ადრე სცოდნიათ - „გაბახტიარდა“, რაც გაბედნიერებას ნიშნავს. „ბახტ მიდუზამ“ სპარსულიდან ნიშნავს „ბედნიერებას ვკერავ“.¹³ საყურადღებოა, რომ ბახტიართა დამოკიდებულება ცეკვისა და მუსიკის მიმართ, რომელიც ფერეიდანში თვალში საცემია, სულხან-საბას ლექსიკონმაც არა რაიმე სხვა საქმიანობის, არამედ მოცეკვავის აღმნიშვნელად შემოინახა.



ცეკვა ჯოხებით „ჩუბ-ბაზობა“.

ეთნოფორებმა გაგვაცნეს ცეკვა, რომელსაც „ჰარი ბუმტა“ უწოდეს. ცეკვავს ორი ერთმანეთის პირისპირ. შემსრულებლები შესაძლოა ორი მამაკაცი ან ორი ქალი ყოფილიყო. მოცეკვავეები მცირედ წინ დახრილ მდგომარეობაში მიიწევენ ერთმანეთისკენ და პარალელურად ასრულებენ ნაბიჯს მარჯვნივ მარჯვენა ფეხით მარცხენა ფეხის მიდგმით და შემდგომ, თავისუფალი მარცხენა ფეხით ნაბიჯს მარცხნივ მარჯვენა ფეხის მიდგმით. ერთი შემსრულებელი თუ მარჯვნივ დგამს ნაბიჯს, მისი პარტნიორი მარცხნივ გადაადგილდება. მოძრაობა ერთგვაროვანია და მიახლოებისას ცვლიან ადგილებს. ქვედაშეკრული მკლავები მოძრაობენ გა-

¹¹ ორბელიანი სულხან-საბა, სიტყვის კონა ქართული, რომელ არს ლექსიკონი, ს. იორდანიშვილის რედაქციით, საქართველოს სსრ სახელმწიფო გამომცემლობა, თბ., 1949, გვ. 46.

¹² იქვე, გვ. 201.

¹³ Галунова Р. А., Средняя персидская свадьба, Сборник музея антропологии и этнографии IX, изд. Акад. наук СССР, Л., 1930, стр. 191.



ბახტიარები. ბახტიარი მამაკაცები ნაციონალურ სამოსში - ჩუხებში.

დადგმული ნაბიჯის მიმართულებით. გარშემომყოფები უკრავენ ტაშს და წარმოთქვამენ ტექსტს - „ჰარი ბეჰმეტა, ჰარი ბეჰოუნა“. სიტყვების მნიშვნელობა ფერეიდნელებმა ვერ აგვიხსნეს. „ჰარი ბეჰმეტა“ არ უნდა იყოს ბახტიარული, უფრო სპარსული - გვითხრეს მთხრობლებმა.

რაც შეეხება იმ ქართულ ფოლკლორულ შემოქმედებას, რის აღმოჩენა-დაფიქსირებასაც ექსპედიცია ცდილობდა, უბირველეს ყოვლისა, უნდა აღინიშნოს სართულებიანი ფერხული, ეთნოფორებმა გაიხსენეს, რომ დაახლოებით 40 წლის წინ ფერხული ჯერ კიდევ სრულდებოდა, თუმცა მხოლოდ სოფელ დამქესანსა და ბოინში, სხვაგან მისი კვალი არ აღმოჩნდა. გადმოცემით 3-4 სართულიანი ნაგებობის აღმართვა იცოდნენ. ბოლო სართულზე სიმარდითა და სიყოჩაღით გამორჩეული ერთი კაცი ადიოდა. ცხადია, ტრადიცია ფერეიდნელმა ქართველებმა საქართველოდან წაიღეს, რადგან სართულებიანი ფერხულები საქართველოს თითქმის ყველა კუთხეში სრულდებოდა, გარდა მცირე გამონაკლისისა, ესენია: სავანური „მირმიქელა“, ქართლური „ზემყრელო“, მესხური „სამყრელო“, კახური „ძაბრა“, მოხეური „აბარბარე“, თუშური „ქორბელელა“ და ა.შ. სოფელ ბოინში სართულებიანი ფერხულს „გუმბათი“ უწოდეს. ფერხული იცოდნენ ნოურუზობას, ასევე ქორწილში. მხარგადაბმული ნაგებობა ბრუნავდა სტვირ-ნალარას მუხის თანხლებით, წვერში ასულს კი, სანამ ჯილდოს (ფულს) არ შეპირდებოდნენ, ქვევით არ ჩამოდიოდა.

კიდევ ერთი ქართული ქორეოგრაფიული ფოლკლორული ნიმუში, რომელიც ფერეიდუნშაჰში დაფიქსირდა, არის ცეკვა „ჰალაღაი“. ამ ცეკვას ყველა ერთხმად

ქართულად აღიარებს. უნდა აღინიშნოს, რომ გარდა საცეკვაო ლექსიკისა, ცეკვის ქართულობას მისი ქართული ტექსტიც განსაზღვრავს, რაც ძალზე მნიშვნელოვანი ფაქტორია ნიმუშის წარმომავლობის დასადგენად. წრეში მოქცეული გოგონა ცეკვავს დომბაქის (დოლი) მუსიკაზე, ტექსტს კი, წარმოთქვამს მუსიკოსი: „- ჰალალო, დაჯე, დაჯე, - ჰალალო, ადე, ადე, - ჰალალო გადი, გადი, - ჰალალო, გამო, გამო“... სწორედ ტექსტში მითითებულ მოძრაობებს ასრულებს მოცეკვავე. ცეკვაში სრულდება ადგილზე ბრუნვა, მელავეები თითქმის სულ დაბალ ზემელავეშია, ხოლო თავსაფრებით შესრულებისას, სხვადასხვა მიმართულებით მოძრაობენ. ცეკვის თანმხლები მუსიკალური მელოდია სრულიად განსხვავდება სხვა საცეკვაო მუსიკისაგან. რაც მთავარია, ცეკვა აგებულია ძველი შავშური „ხელგამლილას“ საცეკვაო მოძრაობის მსგავს გვერდითა მიდგმით სვლაზე, რომელიც დღეს ცეკვა „განდაგანას“ ძირითადი მოძრაობაა. ამ ცეკვას მამაკაცებიც ასრულებდნენ.

ასევე ინტერესი გამოიწვია ორი ქალის ცეკვამ პაუზებით. ცეკვის პროცესში, სადაც მუსიკა გაჩერდებოდა, გოგონებსაც უნდა შეეწყვიტათ მოძრაობა და იმ პოზაში დაფიქსირებულიყვნენ, რა მდგომარეობაშიც პაუზამ მოუწიათ. შემდეგ ისევ გრძელდებოდა მუსიკა და ცეკვა-თამაშობაც მეორედებოდა. ეს ფოლკლორული ნიმუშიც მხოლოდ ქართულად აღიარეს ეთნოფორებმა.

როდესაც წრეში მოცეკვავდა მოქცეული, გარშემომყოფები ტაშს უკრავენ და ამბობენ - „ჩაფულ-ჩაფულ“. „ჩაფულა“ - სულხან-საბასთან წარმოდგენილია როგორც - ფერხის საცმელი¹⁴ - ფეხსაცმელი. იცოდნენ ასევე „ჩარუხ-ჩარუხის“ თქმაც. „ჩარუხი“ ფერეიდნელთა განმარტებით თავსაბურავს ნიშნავს.

„დოუკარ, უნდა ვიშუშპრო - ვიტყოდით, მხოლოდ ქალები ვშუშპრობდით დიდი ჩიქილებით, ბევრი - 10-მდე ვიშუშპრობდით ერთად, მართო ქალები, ტაშს უკრავენ, ქილილს ეტყვიან“ - გვითხრა ქალბატონმა ნარეკს ასლანმა. მის შესრულებული ცეკვა, რომელსაც მან არა კონკრეტული სახელი, არამედ ზოგადად შუშპრობა უწოდა, წარმოადგენს წრეზე სიარულს მარტივი ნაბიჯით - ნაბიჯი მარჯვენა ფეხით, მიდგმა მარცხენა ფეხით - სხეულის სიმძიმე მარჯვენა ფეხზე რჩება, შემდეგ ნაბიჯი მარცხენა ფეხით და მიდგმა მარჯვენა ფეხით. მოძრაობა გრძელდება და ერთგვაროვანია. ხელში უჭირავს ორი თავსაფარი - მანდილი, რომელთაც ზემელავეში აწეული ხელებით აქეთ-იქით აქნევს. შესაძლოა ეს ცეკვა კაცსაც ეცეკვა ცალკე და ქალთან ერთადაც. ორივე შემთხვევაში ქალსაც და მამაკაცსაც თავსაფრები ეკავათ ხელებში. ქალი და კაცი ერთად მხოლოდ იმ შემთხვევაში ცეკვავდა, თუ ახლობლები იყვნენ.

ბათუაშვილების ოჯახში გვაჩვენეს მოძრაობა შეტყუებული ტერფებით ქუსლ-წვერების მორიგეობით გადაადგილებით. ეს მოძრაობა ქართული ცეკვისათვის ყოფილა სიმპტომატური. საქართველოში მას, ძირითადად, ქალაქური ცეკვების რეპერტუარის საცეკვაო ლექსიკაში ვხვდებით.

ხალხური თეატრალიზებული სანახაობებით განსაკუთრებით ქორწილი იყო დატვირთული. ქორწილებში იცოდნენ დათვის შეკაზმვა - თამაშობდა 5-10 მონაწი-

¹⁴ ორბელიანი სულხან-საბა, სიტყვის კონა ქართული, რომელ არს ლექსიკონი, ს. იორდანიშვილის რედაქციით, საქართველოს სსრ სახელმწიფო გამომცემლობა, თბ., 1949, გვ. 423.



ფერეიდნელი ქართველი ქალის სამოსი -
ჩიქილა, პერანგი, ნიფხავი
(პერანგის ქვეშ ჩასაცმელი)



ფერეიდნელი ქართველი ქალის სამოსი -
უკანა ხედი

ლე, რომლებიც დათვის ნიღბით ხალხს აშინებდნენ. საქართველოში იცოდნენ თეატრალიზებული „დათვობია“. ვეფხვად გადაცმული ორი კაცის სახიობაც იმართებოდა ხალხის გასამხიარულებლად. ორი „ვეფხვი“ ერთმანეთს „ემუღლებოდა“, წყალში გადაყრიდნენ ერთმანეთს და ხალხს აცინებდნენ. წყალში გადაგდება ან წყლით დასველება საქართველოში „ყვენობისა“ და ნაყოფიერების კულტთან დაკავშირებულ სხვა ტრადიციულ დღესასწაულებს ახლდა.

ძალზე საინტერესო აღმოჩნდა ქორწილში აქამდე შემორჩენილი თეატრალიზებული სანახაობები, რომელთაც საქართველოში „ცხენაცობას“ და აქლემკაცობას¹⁵ ვუწოდებთ. „ნეფეს რომ მოიყვანდეს აბანოჩი, ახალი ტანსაცმლით გამოვიდოდეს, სტირ-ნალარით გააცილებდეს. ამ დროს იმართებოდეს თამაშობა - ერთი კაცი ჩაჯდებოდეს მოკლე კიბეჩი, კიბის წინა და უკანა მხარეს საბელით შეჭვანძვანძეს (დაამაგრებდნენ) ცხავეებს, შაჰკაშმევდეს ლამაზი ფარჩებითა, წინ დაუმაგრებდეს ცხენის თავსა (ცხენის თავის ქალას), კაცი დაიხურებდეს მაღალ ქუდსა, სახეს გაიმურავდეს (სახეს გაიშავებდა) ნეფის წინ ცეკავდეს, დაიხრებოდეს - კუდი

¹⁵ ნ ბატონიშვილი ი., კალმასობა, ქართული პროზა, წ. VI, „საბჭოთა საქართველო“, თბ., 1984, გვ. 241.



ფერეიდნელი პატარძალი კაკალით
სახედაბურული (კაკალა - დიდი
თავსაბურავი, თავსაფარი).



ფერეიდნელი ქალი ტრადიციულ სამოსში

ავიდოდეს ზემოთ, თავს ასწევდეს - კუდი დაიხრებოდეს, კაცის ფეხები ფარჩის ქვეშ არ ჩანდეს, მხოლოდ წელზეთი მოჩანდეს როგორც მხედარი. „ცხენკაცს“ მათრახი ჰქონდა, მიაღებოდა ვინმეს - ფულს სთხოვდა, თუ არ მისცემდა - მათრახს დასცემდა“ - მოგვითხრო აბოლყასემ აჰმადმა. ეს თამაშობა 30 წლის წინ ჯერ კიდევ სრულდებოდა. ასევე იცოდნენ აქლემკაცობის გამართვა, მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ „აქლემკაცი“ ორი ადამიანის შემადგენლობით იგებოდა და კიბეს არ იყენებდნენ.

ქორწილში იცოდნენ თამაშობა „შაჰ-ვაზირობა“ - ერთი მეფე იყო და ვაზირები ყავდა. შაჰ-ვაზირობა წარმოადგენდა შაჰს თავისი 12 ვაზირით - მხლებლით. შაჰი რასაც უბრძანებდა, მათ უნდა შეესრულებინათ. ვაზირების ძირითადი მოვალეობა იყო შაჰის მიერ მითითებული პიროვნების დაჭერა, ცემა და შემდეგ საზოგადოების მიერ მისი გამოსყიდვა. შაჰს შეიძლებოდა ებრძანებინა ნეფის მამის ან დედის დაჭერა. ძირითადად უთითებდა მათ, ვისაც ფული ჰქონდა და გამოსასყიდის გაღება შეეძლო.

მეორე ტიპის „შაჰ-ვაზირობა“/„ქამარბანდობა“ საქართველოს დიალექტებში დაცულ „ლალონის“/„ძადლურს“, შავშურ ფერხულს, თბილისურ „იალის თა-

მაშ“¹⁶ ჰგავს და მათ დიალექტურ ვარიანტად მოვიანზრებთ. ფოლკლორულ ნიმუშებს აერთიანებთ ძირითადი პრინციპი, რაც ფერხულის წყნელმომარჯვებული მეთაურის მიერ სხვადასხვა ქმედების შესრულებასა და თანხმლებ პირთა მათ ზედმიწევნით გამეორებაში მდგომარეობს. თუ გამეორება ვერ მოხერხდა, „დამნაშავე“ მეფერხულე ჯოხის დარტყმით ისჯება.

„ტურა-ტურაც“, ფაქტობრივად, „ძალღურის“ ვარიანტი აღმოჩნდა. ტურა-ტურას ძახილით ერთმანეთის უკან რამდენიმე მონაწილე მისდევდა. ერთი ჯოხიანი წინ იყო, მეორე უკან. რასაც წინამძღოლი იტყოდა, დანარჩენსაც უნდა გაემეორებინა. გარშემომყოფნი ტაშს უკრავდნენ. სტვირ-ნაღარა ახლდა ზემოთ წარმოდგენილ მეფერხისეთა სახიობას.

ქორწილში იცოდნენ ქალების კაცებად გარდასახვა: „ქალები ქორწილებში კაცად იქცეოდეს, ულვაშებს გაიკეთებდეს, მუცელს ჩაიდებდეს, სცემდეს ერთმანეთსა ხუმრობით, განსაკუთრებით მუცელში მუშტს, მუცელში ბალიში ედოთ“. კაცები კი, პირიქით, ქალებად მოიკაზმებოდნენ: „შუშპრობდენ, დედაკაცებში შემოვიდოდნენ, ჩიქილას დაიხურავდნენ, პერანგებ ჩაიცვანყე, კოჭბებ (თმის კაგები) გაიკეთებდენ, 2-3-4 ახალგაზრდა კაცი ოინად შეიკაზმიანყე, ახლობლები იყნენ და ამიტომ ქალებთან შედიოდნენ საოინბაზოდ“.

თოჯინის გაკეთება ფერეიდნელებმაც იცოდნენ, რომელსაც „კუკუნას“ უწოდებდნენ.

ახალი წლის პირველ ღამეს (ახალი წელი მუსულმანებში გაზაფხულზე დგება), როდესაც ბევრი წვიმა და თოვლი მოდის, იმ დროს, როდესაც პირუტყვის საკვები ბალახიც თავდება, 7-8 წლის ყმაწვილები შევიდოდნენ თავსახლში, ფქვილით სახეს გაითეთრებდნენ, აქლემის ზანზალაკებს, ევენებს შეიბამდნენ, კაბებს ჩაიცვამდნენ, გარბოდ-გამორბოდნენ და თან ამბობდნენ: „მივდექ-მოვდექ თარო-ზეო, ერბო ვიკარ პირაზეო, ღმერთო მოგვე ბალახიო, აღარ გვინდა ტალახიო“. როგორც აღწერილობიდან ჩანს, საქართველოში თუ მზის გამოსათხროგარ რიტუალს - „ლაზარობას“¹⁷ ქალები, გოგონები ატარებდნენ, ფერეიდანში კაბებში გამოწყობილი პატარა გაყები ასრულებდნენ. აღნიშნული პარალელის საფუძველზე, იგვეთება დიალექტური ნაირსახეობების არსებობისა და „ლაზარობის“ მინიმუმ 400 წლის ისტორია, რომელიც ჰერეთ-კახეთიდან გადასახლებულებმა ფერეიდანში შემოინახეს.

ასევე იცოდნენ ხის ცხენ-ჯოხის მორთვა. ყმაწვილ ბიჭები შეკაზმავდნენ ხის ცხენს, წყალზე მიდიოდნენ: „იტყოდა, არ გუნდოდა გორახი, ჩონ გუნდოდა ტალახი, იშუშპრის და მოდის, ხალხიც აძლევდა რაც ჰქონდათ“.

ცეკვითა და სახიობით იყო დატვირთული ნოურუზის მეცამეტე დღე, როდესაც მთა-ველს მოედებოდა ფერეიდნელთა ოჯახები. მიდიოდნენ დროს გასატარებლად, სამხიარულოდ, საცეკვაოდ. თუმცა, სოფლის მცხოვრებთა მხიარულება მამაკაცთა

16 დამჩიძე ხ., მესხური (სამცხე-ჯავახური) საცეკვაო დიალექტი, საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის დიმიტრი ჯანელიძის სახელობის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის შრომების კრებული ART კვლევები IV, თბ., 2022, გვ. 185-188.

17 ჯანელიძე დ., ქართული თეატრის ისტორია (ხალხური საწყისები), „კენტავრი“, თბ., 2018, გვ.93.

ცალკე და ქალთა ცალკე მიმდინარეობდა. ქალების მხარე განსაკუთრებით საინტერესოდ გამოიყურება: ირჩევდნენ ორ ქალს, რომელთაგან ერთი ნეფე იყო, მეორე ახანძალი (ახალი რძალი, პატარძალი), დააქორწინებდნენ ერთმანეთზე, გაუმართავდნენ ქორწილს, ცეკვავდნენ და მზიარულად ატარებდნენ დღეს. მეორე დღეს კი ცხოვრება ჩვეულ რიგს უბრუნდებოდა.

ხალხური სახიობის გამართვისას იტყოდნენ „თამარა გამოიტანესო“. ეთნოფორმა ვერ შეძლო მეტი სიზუსტით გადმოცემა - რატომ თამარა? „თამარა“, შესაძლოა, ქალად გადაცმულ მამაკაცთა ოინბაზობის აღმნიშვნელი ყოფილიყო, ისევე, როგორც აჭარა-შავშეთში „ფადიო“, რომელიც ასევე ქალის სახელს აღნიშნავს და მისი ერთ-ერთი მთავარი პერსონაჟიც ქალად გადაცმული მამაკაცია. „თამარა გამოიტანესთან“ ძალზე ახლოს დგას „თამაშა გამოიტანეს“, რაც ასევე სახიობის სახალხოდ გამართვას ნიშნავს. ძველად სახიობას „თამაშა“ ერქვა. „თამაშა“ სულხან-საბასთან მოცემულია როგორც თათრული ტერმინი, რომელიც სანახავს აღნიშნავს.¹⁸ ინსტრუმენტებზე - სტვირზე, ნაღარაზე, დომბაქზე (დოლზე) შემსრულებლები ძირითადად სომხები ან ბახტიარები იყვნენ. ქართველებს ეკრძალებოდათ, მაგრამ მაინც სწავლობდნენ და დღესასწაულებსა და ქორწილებში უკრავდნენ.

ხალხურ სახიობას იმდენად ადრე მართავდნენ, რომ 80 წლის მოხუცებს ბავშვობის მოგონებად შემორჩა. დღეს კი, მხოლოდ იშვიათი გამონაკლისის სახით შეიძლება შესრულდეს. ეს გვაიმედებს, რომ ტრადიცია ჯერ კიდევ გრძელდება.

ამგვარად, ფერეიდნელ ქართველებში მარგინალურ, სხვა სუბკულტურებთან ურთიერთობის შედეგად, რამდენიმე საცეკვაო ნიმუში აღმოჩნდა ბახტიარული „ჩოფისა“ და „ჩუბ-ბაზობის“ სახით. მაგრამ, რაც მთავარია, გამოიკვეთა წმინდა ქართული ფოლკლორული ნაწარმოებებიც, რომელთა ანალოგები საქართველოშიც შემოუნახავს ფოლკლორულ შემოქმედებას: სართულებიანი ფერხული, ცეკვა სახელწოდებით „ჰალაღაი“ თავისი ნაირსახეობებით, „ახალძალის შეკმაზვა“, „შაჰ-ვაზირობა“, საქორწილო თეატრალიზებული სანახაობები „ცნენაცობა“, „აქლემაცობა“, „დათვად და ვეფხვად შეკმაზვა“, ქართული „ლაზარობის“ მსგავსი ამინდის გამოსათხოვარი „ცნენ-ჯოხზე“ ამხედრებული და გოგონებად გადაცმული ვაჟების რიტუალური წეს-ჩვეულება.

¹⁸ ორბელიანი სულხან-საბა, თხზულებანი ტ. IV-1, „საბჭოთა საქართველო“, თბ., 1965, გვ. 133.



რეიპან გუგუნაშვილის ნაქსოვი ხალიჩა
ქართული ცეკვისა და ანბანის გამოსახულებით

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ბატონიშვილი ი., კალმასობა, ქართული პროზა, წ. VI, „საბჭოთა საქართველო“, თბ., 1984.
2. ბუთლიაშვილი ვ., ქორწინება ფერეიდანში, 1923, გაზეთი ტრიბუნა, N 513, ციტირებულია წიგნიდან ბაკურაძე ლ., ბერიძე მ. და სხვ. ფერეიდნული ქრონიკები, 248-251, თბ., „მერიდიანი“, 2020.
3. დამიძე ხ., მესხური (სამცხე-ჯავახური) საცეკვაო დიალექტი, საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის დიმიტრი ჯანელიძის სახელობის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის შრომების კრებული ART კვლევები IV, თბ., 2022.
4. კრავიშვილი გ., საქართველოს მოწყვეტილი კუთხეების და XVII-XIX საუკუნეებში გადასახლებულ ქართველთა ხალხური მუსიკის შესწავლის პრობლემები, თბ., „აკადემიური წიგნი“, 2020.
5. ორბელიანი სულხან-საბა, თხზულებანი ტ. IV-1, „საბჭოთა საქართველო“, თბ., 1965.
6. ორბელიანი სულხან-საბა, თხზულებანი ტ. IV-2, „საბჭოთა საქართველო“, თბ., 1966.
7. ორბელიანი სულხან-საბა, სიტყვის კონა ქართული, რომელ არს ლექსიკონი, ს. იორდანიშვილის რედაქციით, საქართველოს სსრ სახელმწიფო გამომცემლობა, თბ., 1949.
8. პაპიაშვილი ვ., ჰერეთის ისტორია: მოკლე ქრონოლოგიური მიმოხილვა, თბ., „მერიდიანი“, 2012.
9. შარაშენიძე ზ., ახალი მასალები ფერეიდნული ქართველების შესახებ, თბ., „მეცნიერება“, 1969.
10. ცაგარეიშვილი თ., ფერეიდნელები საქართველოში, თბ., „მეცნიერება“, 1981.
11. ჭელიძე ა., ფერეიდნული ქართველები, თბ., გიორგი ლეონიძის სახელობის ქართული ლიტერატურის სახელმწიფო მუზეუმი, „სი-ჯი-ეს“, 2011.
12. ჭელიძე ა., ფერეიდნული ქართველები, „საბჭოთა მწერალი“, თბ., 1951.
13. ჯანელიძე დ., ქართული თეატრის ისტორია (ხალხური საწყისები), „კენტავრი“, თბ., 2018.
14. Галунова Р. А., Средняя персидская свадьба, Сборник музея антропологии и этнографии IX, изд. Акад. наук СССР, Л., 1930.

Giorgi Kraveishvili
Khatuna Damchidze

MUSICAL-CHOREOGRAPHIC FOLKLORE TRADITIONS OF THE FEREYDAN-GEORGIANS

Summary

